შესავალი სამართალმცოდნეობაში

1. **არის თუ არა იურისპრუდენცია მეცნიერება? პასუხი დაასაბუთეთ.**

იურისპრუდენცია არის მეცნიერება სამართლის შესახებ, რომელიც შეისწავლის ადამიანის სავალდებულო ზოგად ქცევას. ის ყველა მეცნიერებასთან კავშირშია.
იურისპრუდენცია მეცნიერებაა, თუმცა არა ზუსტი.
<u>იურისპრუდენცია მეცნიერებაა</u> რადგან, სამართალში არსებობს რამდენიმე სწორი პასუხი. იურისტის ამოცანაა მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტაცია.
<u>იურისპრუდენცია ანალიტიკური მეცნიერებაა,</u> რადგან ანალიტიკური მეცნიერება თვითონ აყალიბებს აქსიომებს და იკვლევს მის მიერვე შექმნილ სიმბოლოების სამყაროს. სამართალიც, მის მსგავსად, იკვლევს თავის სიმბოლოებს.
<u>იურისპრუდენცია სოციალური მეცნიერებაა,</u> რადგან სამართალი შეისწავლის საზოგადოების, სოციუმის და კონკრეტულად ადამიანის ქცევას.
<u>იურისპრუდენცია ჰუმანიტარული მეცნიერებაა,</u> რადგან ჰუმანიტარული მეცნიერების საგანი მოცემულია ტექსტის სახით. იურისპრუდენციას მიაკუთვნებენ ჰერმენევტიკულ მეცნიერებას, რადგან სამართალი მხოლოდ ტექსტის სახითაა მოცემული.
<u>იურისპრუდენცია არის ნორმატიული მეცნიერება,</u> რადგან ნორმატიული მეცნიერება შეისწავლის ნორმებს. სამართლის მეცნიერების საგანია ნორმატიული წინადადების სახით ჩამოყალიბებული ქცევის სავალდებულო წესები.
<u>იურისპრუდენცია არ არის მეცნიერება</u> რადგან, მეცნიერების შემეცნების ობიექტი წინასწარ არის მოცემული და უცვლელია. არისტოტელეს აზრით, აქედან გამომდინარე, იურისპრუდენცია უნდა გავიგოთ, როგორც ხელოვნება ან გონიერება.
სამართლის მეცნიერება ანუ იურისპრუდენცია ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: 1) იურისტების განათლება 2) თეორიული მიმდინარეობების და მოძღვრების ანალიზი 3) საკუთარი მოსაზრებების წამოყენება მართლწესრიგის სრულყოფის თვალსაზრისით.
სამართლის მეცნიერება შეისწავლის მართლწესრიგის არსსა და ფუნქციას, მის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციას.

2. სამართლის პოზიტიური ცნება

<u>პოზიტიური სამართალი</u> არის სოციალური ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში. ის

სავალდებულოა შესასრულებლად. პოზიტიური ცნება ერთმანეთს განასხვავებს სამართალს როგორც „ის არის“ და როგორც „ის უნდა იყოს“. პოზიტიური ცნება მკაცრად გამიჯნავს მორალსა და სამართალს.

პოზიტიური სამართლის თანახმად, <u>სამართლის ნიშნები:</u>
1. ნორმა დადგენილია სახელმწიფო ორგანოს მიერ
2. ნორმა სოციალურად ქმედითია
3. ნორმას აღიარებენ სახელმწიფო ორგანოები და მოქალაქეები.

<u>სამართლის ნორმატიულ თეორიას</u> საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა იურისტმა ჯონ ოსტინმა. მისი შეხედულებით, სამართლის შექმნაზე უფლებამოსილი პირი არის მხოლოდ სახელმწიფო.

<u>სამართლის წმინდა თეორია</u> არის მონისტური მოძღვრება სამართალის შესახებ. ის ცდილობს გაარკვიოს, თუ „რა არის“ სამართალი, თუმცა მას არ აინტერესებს, თუ როგორი „უნდა იყოს“ ის. სამართლის წმინდა თეორია არის სამართლის მეცნიერება და არა სამართლის პოლიტიკა. ის აანალიზებს ნამდვილ და არა იდეალურ სამართალს. კელზენის აზრით, უმართლობა არ არის სამართლის უარყოფა. სამართლის წმინდა თეორია არის პოზიტიური სამართლის მაქსიმალურად ზუსტი, სტრუქტურული ანალიზი.

<u>ძირითადი ნორმა</u> - სამართლის მოქმედების ძირითადი საფუძველია. ის მოითხოვს, რომ იძულება განხორციელდეს კონსტიტუციის ნორმების საფუძველზე. მან უნდა დაასაბუთოს პოზიტიური მართლწესრიგის ობიექტური მოქმედება.
კელზენს სურს სამართლის მეცნიერება გაწმინდოს ყოველგვარი შინაარსობრივი ელემენტებისგან. მისი აზრით, ნორმის შინაარს განსაზღვრავს კანონმდებელი. კელზენს სურდა, რომ იურისპრუდენცია მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო ობიექტურობასა და სიზუსტესთან. ის ამით უპირისპირდებოდა ბუნებით სამართალს.

სამართლის პოზიტიური ცნების წინააღმდეგ წამოყენებული უმართლობის არგუმენტი ცნობილია - <u>რადბრუხის ფორმულის</u> - სახით. მისი აზრით, პოზიტიურ სამართალს იმ შემთხვევაშიც უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როდესაც ის უსამართლოა. ანუ როდესაც სამართლის უსაფრთხოება უპირისპირდება სამართლიანობას, დავა უნდა გადაწყდეს სამართლის უსაფრთხოების სასარგებლოდ, რადგან მთავარი არის კონფლიქტის სწრაფი მოგვარება. მაგრამ თუ ეს დაპირისპირება ყველანაირ საზღვრებს

სცდება, მაშინ სამართლიანობას უნდა დაუთმოს სამართლის უსაფრთხოებამ.

სამართლის პოზიტიური გაგების წინააღმდეგ წამოყენებულია თეზისები:
1. პოზიტიური თეორია ღიად ტოვებს საკითხს სახელმწიფომდე არსებული სამართლის შესახებ.
2. პოზიტიური ცნება გვერდს უვლის სამართლიანობის საკითხს
3. პოზიტიური ცნება ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების მხრიდან სამართლის აღიარების ფაქტს.

3. სამართლის ბუნებით-სამართლებრივი ცნება

ბუნებით-სამართლებრივი თეორიის მიხედვით, სამართლიანობა არსებობს ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად, ხოლო მისი აღმოჩენა შესაძლებელია შემეცნების პროცესში.

ბუნებითი სამართალი არის სამართალი რომელიც დროისა და სივრცის გარეშე არსებობს.

ბუნებითი სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთის ნება და გონი. განასხვავებენ: 1) ანთროპოლოგიური; 2) რელიგიური; 3) რაციონალური ბუნებითი სამართალი.
ბუნებითი სამართალი ვერ დაეფუძნება რელიგიას, რადგან შეუძლებელია რწმენის რაციონალურად დასაბუთება. ვერ დაეფუძნება გონს, რადგან ის არ ეხება აზროვნების შინაარს. კელზენის შეხედულებით, ბუნებითი სამართალი არ გამომდინარეობს ადამიანური ბუნებიდან.

ბუნებითი სამართალი მოიცავს ობიექტურად სავალდებულო წესებსა და პრინციპებს. ისინი უფრო მაღლა დგანან, ვიდრე პოზიტიური სამართალი. ამიტომ, მას ხშირად ზეპოზიტიურ სამართალსაც უწოდებენ.
შეუძლებელია ბუნებითი სამართლის ემპირიული შემეცნებას, რადგან იგი სუბიექტურია.
ბუნებითი სამართალი არ გამიჯნავს მორალსა და სამართალს.

4. სამართლის ნიშნები, ლეგალურობა და ლეგიტიმურობა

<u>სამართალი</u> არის ადამიანის სავალდებულო ზოგად ქცევების ერთობლიობა.

<u>სამართალს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:</u>
1. სამართალი ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს
2. სამართლის ნორმის მოქმედება ვრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე.
3. სამართალს ახასიათებს მოქმედების პრეტენზია
4. სამართლის ნორმას ახასიათებს იძულებით განხორციელების შესაძლებლობა.
სამართალი არის ნორმათა ერთობლიობა, რომლიც დაცვას უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებით.

<u>სამართალი ჯერარსული მოვლენაა.</u> სამართლის ნორმა არის ნორმატიული, ხოლო ბუნების კანონი დესკრიფციული.
ნორმატიული და დესკრიფციული კანონები ერთმანეთისგან განსხვავდება:
1.) დესკრიფციული მსჯელობა შეიძლება იყოს ან ჭეშმარიტი ან მცდარი.
ნორმატიული მეცნიერება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ის ყოველთვის შეფასებითია.
2.) არსიდან შეუძლებელია ჯერარსის წარმოება.
სამართლის ნორმა ინარჩუნებს სავალდებულოობას მისი დარღვევის შემთხვევაშიც. მისი უმრავლესობა ზოგად აბსტრაქტულია, ანუ მისი მოქმედება ვრცელდება ყველა ერთგვაროვან ურთიერთობაზე.

სამართალი, <u>სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობაა.</u> მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს შესასრულებლად სავალდებულო ნორმა.
სამართალი არსებობდა სახელმწიფომდე და მის გარეშეც. მაგ: საეკლესიო სამართალი, ის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობს.

<u>სამართლის ადრესატი</u> არის პირი, რომლისკენაცაა მიმართული სამართლის მოქმედება.

<u>კანონს არა აქვს უკუძალა.</u> მაგრამ კანონს, რომელიც ამსუბუქებს სასჯელს ან აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას, აქვს უკუძალა. ხოლო კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას, უკუძალა არა აქვს

ლეგალურობა - კანონიერება, სამართალთან შესაბამისობა, კანონის საფუძველზე მოქმედება.
ლეგალურობა სახელმწიფო ხელისუფლების ფორმალურ-ორგანიზაციული პრინციპია. ლეგალურია ხელისუფლება, რომლის საქმიანობას ხორციელდება კანონის საფუძველზე.

ლეგიტიმურობა - ხალხის ნდობითა და რწმენით განპირობება.
ლეგიტიმურია ის გადაწყვეტილება, რომელსაც ხალხი უჭერს მხარს.
ლეგიტიმური არის ლეგალურის მსაზღვრელი.
სამართალი ლეგიტიმურია, რამდენადაც:
1. სამართლის ნორმა არის სავალდებულო ქცევის წესი
2. სამართალი ეფუძნება ნორმის ადრესატების რწმენას
სამართალს ახასიათებს ფორმალური და მატერიალური ლეგიტიმურობა.
ფორმალურად ის ნიშნავს, რომ სამართალი დადგენილია სათანადო პროცედურების დაცვით. მატერიალური მოითხოვს, რომ სამართალი იყოს „მართალი“, „სწორი“.
საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღირებულებებით არსებობს მრავალი ლეგიტიმურობა.

5. სამართლის რეგულაციური ფუნქცია
სამართალი არის მიზნის მიღწევის საშუალება. ის არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და საზოგადოებაში მოქმედებს.
სამართალი აყალიბებს სოციალური მართვის ნორმატიულ საფუძვლებს და ახორციელებს ორგანიზაციულ ფუნქციას.
სამართალი ასრულებს სოციალური მართვის ფუნქციასაც, როდესაც წარმართავს ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების ქცევას.
სამართალი ასრულებს დაგეგმვისა და სოციალური პროგნოზირების ფუნქციას.
სამართლის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება სამართალ დარღვევაზე სათანადო რეაქციის ფორმით. სანქციების მუქარით სამართალი იცავს საზოგადოებას და ასრულებს რეპრესიულ ფუნქციას.
სამართალი ასრულებს სოციალური ინტეგრაციის ფუნქციას, რამდენადაც საზოგადოების წევრებს უყალიბებს ერთიანობისა და სოციალური სოლიდარობის განცდას.

6. სამართლის წესრიგის ფუნქცია

წესრიგი სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ის წარმოადგენს წესებისა და კანონების გაერთიანებას, რომელიც შედგება ურთიერთდამოკიდებული ელემენტებისგან.
სამართალი ასრულებს სოციალური მშვიდობის ფუნქციას. ის მშვიდობიანად აწესრიგებს კონფლიქტს, როდესაც დავა წყდება სამართლის მოთხოვნათა საფუძველზე.
სამართალი ასრულებს კონფლიქტის მოწესრიგების ფუნქციას, ასევე კონფლიქტის პრევენციის ფუნქციასაც. მართლწესრიგი არის სახელმწიფოს პრეროგატივა.
სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ინდივიდმა წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რას მოითხოვს მისგან სამართლის ნორმა. ის გამორიცხავს სახელმწიფოს კანონსაწინააღმდეგო ქცევას.
სამართალი იცავს არსებულ სტატუსს კვოს და ამით ასრულებს კონსერვატორულ როლს. სამართალი ხელს უწყობს ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით.

7. სამართლის ანთროპოლოგიურ-პერსონალური ფუნქცია
სამართლის ანთროპოლოგიურ ფუნქციას განსაზღვრავს ადამიანის არსება და მისი ეგზისტენციალური (ადამიანის ყოფითი) მოთხოვნილებები. სამართალი აღიარებს ინდივიდის როლს საზოგადოებაში.

სამართლის პერსონალური ფუნქცია მოიცავს მართლწესრიგით დადგენილ პიროვნების სტატუსს. სამართლის პერსონალური ფუნქცია ეხება სოციალური ურთიერთობების მონაწილე ინდივიდს. ის უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფალ თვითგამოხატვას, იცავს მის ინტიმურ სფეროებს.

8. სამართალი და მორალი
სამართალი არის სოციალური ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში.
მორალი არის კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემა. მორალს განმარტავენ, როგორც „შინაგან ვალდებულებას“. მორალური ნორმები ადამიანის სინდისისკენაა მიმართული.

მორალის სახეები:

1. <u>ინდივიდუალური მორალი</u> - რომელიც ჩამოყალიბებულია ცალკეულ პიროვნებაში, ინდივიდში.
2. <u>კონვენციონალური მორალი</u> - რომელიც შეთანხმებითი, საზოგადოა. ის საზოგადოებაში მოქმედებს ფართოდ.

<u>სამართლისა და მორალისთვის საერთოა:</u>
1. ისინი აწესრიგებენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს.
2. მათი მოთხოვნები შინაარსობრივად მსგავსია.
3. მათი მოთხოვნათა დაცვა განიხილება, როგორც მოვალეობა.

<u>სამართალი და მორალი ერთმანეთისგან განსხვავდება:</u>
1. მორალი ყალიბდება ჩვეულების, ტრადიციის გავლენით.
   სამართლის ნორმას ადგენს სახელმწიფო.
2. მორალური ნორმა დადგენილია პირდაპირი აკრძალვის ან მოთხოვნის ფორმით. მას არ ახასიათებს იურიდიული სიზუსტე.
   სამართლის ნორმაში აკრძალვა ან მოთხოვნა აბსტრაქტულადაა ფორმირებული. მას ახასიათებს მაქსიმალური სიზუსტე.
3. მორალური ნორმა იცვლება ნელა, საზოგადოებასთან ერთად.
   სამართლის ნორმაში ცვლილებების შეტანა ხდება სათანადო პროცედურების დაცვით.
4. მორალს აინტერესებს პირის სუბიექტური ნება და მისი მოტივი.
   სამართლის ნორმა აწესრიგებს ადამიანთა გარეგან ქცევას.
5. მორალს ახასიათებს საზოგადოებრივი ზემოქმედების სახით სანქციებით იძულება.
სამართალს ახასიათებს ორგანიზებული და აბსოლუტური იძულება.
მორალი სამართლის მსაზღვრელია.
სამართალი ნეიტრალურია მორალური ღირებულებების მიმართ.
სამართლის შეფარდება ხდება მორალური მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად. თუმცა სამართალმა უნდა გაითვალისწინოს მორალის განსაზღვრული ელემენტარული მოთხოვნები.

9. სამართალი და ჩვეულება

<u>სამართალი</u> არის სოციალური ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში.
<u>ჩვეულება</u> არის ხალხის მიერ სისტემატიურად გამეორებული ნორმა. ის არეგულირებს სოციალურ ურთიერთობებს.

<u>სამართალსა და ჩვეულებას საერთო აქვთ:</u>
1. მათ აქვთ ნორმატიული ხასიათი.
2. მათ აქვთ ჯერარსული ხასიათი.

3. ისინი არეგულირებენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს.
4. ისინი ეხებიან ადამიანის მხოლოდ გარეგან ქცევას.

<u>სამართალი და ჩვეულება ერთმანეთისგან განსხვავდება:</u>
1. სამართალს ადგენს სახელმწიფო.
   ჩვეულებას აყალიბებს სოციალური ჯგუფი.
2. სამართალი მოქმედებს ფართო სოციალურ წრეში.
   ჩვეულება მოქმედებს მცირერიცხოვან სოციალურ ერთობაში.
3. ჩვეულება ეთიკის მიმართ ინდიფერენტულია. ცუდი ჩვეულებაც, ჩვეულებაა.
4. სამართლებრივ იძულებას ახორციელებს სახელმწიფო.
   ჩვეულება არ ხორციელდება სახელმწიფო იძულებით.
5. სამართლის სანქციები წინასწარაა განსაზღვრული.
   ჩვეულების სანქციები არაა წინაწარ განსაზღვრული.
6. კანონმდებლობა ყალიბდება განსაზღვრული პროცედურების შედეგად.
   ჩვეულებითი წესრიგი ყალიბდება ფაქტობრივი ურთიერთობების შედეგად.
7. სამართალი მოქმედებს, იმის მიუხედავად, დაცულია თუ არა მისი მოთხოვნები.
   ჩვეულება მოქმედებს იმის გამო, რომ ფაქტობრივად სრულდება. ის მოქმედებს იმ ფარგლებში, რა ფარგლებში მას ნებას რთავს კანონი.

განსხვავდება სამართლის და ჩვეულების მოქმედების სფერო. ზოგჯერ სამართლის ნორმებს იმიტომ იცავენ, რომ იგი ჩვეულების მოთხოვნებს შეესაბამება.
ცალკეული სფეროები წესრიგდება მხოლოდ სამართლით. ამავე დროს, მთელი რიგი ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგდეს ჩვეულებითი სამართლის ფორმით.
როგორც წესი ჩვეულება და სამართალი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ კონფლიქტისას მოქმედებს პოზიტიური სამართალი.

10. სამართლიანობა და თანასწორობა

<u>სამართლიანობა</u> - არის ინდივიდუალური, შეფასებითი კრიტერიუმი, რომლისკენაც მიისწრაფვის სამართლიანობა.

<u>თანასწორობა</u> არის ორი სახის:
<u>1. ფაქტობრივი</u>
<u>2. იურიდიული</u>

ფაქტობრივი თანასწორობა არ არსებობს. რადგან ყველა ადამიანი არის ინდივიდი და განსხვავდება ერთმანეთისგან რაღაც კრიტერიუმებით.

სამართლიანი არ გულისხმობს აუცილებლად თანასწორს სამართლებრივად, რადგან სამართლებრივი უთანასწორობა შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი.
იურიდიული უთანასწორობა მიმართულია, ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

<u>თანასწორობის უფლებების დარღვევის ძირითადი ფორმულა</u> - „მნიშვნელოვნად თანასწორს, თვითნებურად უთანასწორო. მნიშვნელოვნად უთანასწოროს, თვითნებურად თანასწორად ექცევიან."

<u>თანასწორობა, როგორც სამართლიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი.</u> სამართლიანობის კრიტერიუმით, ყველა ქცევა ვერ შეფასდება. ქცევა შეიძლება იყოს გონივრული ან არაგონივრული. გონივრული ქცევა ვერ შეფასდება, როგორც სამართლიანი და პირიქით.

სრული თანასწორობის პრინციპი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, მხოლოდ ჰიპოთეტურად. თანასწორობა სამართლის ფუძემდებელი პრინციპია.

კანონის წინაშე ადამიანის თანასწორობა არის საყოველთაო, ზოგადი პრინციპი. კანონის წინაშე თანასწორობა კონსტიტუციური პრინციპია.

თანასწორობა განაწილების ყველაზე მარტივი წესია.

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. მაგრამ კანონი არ ამბობს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია.

11. სამართლიანობის სახეები

<u>განაწილებითი სამართალი</u> - მოიცავს სიკეთის განაწილების პროცესს და მასში მონაწილე (სულ მცირე) 3 სუბიექტს (სახელმწიფოც). ამ დროს სახელმწიფო ხელმძღვანელობს სხვადასხვა მასშტაბით.
ის დიდ როლს ასრულებს იერარქიული სტრუქტურის მქონე ურთიერთობებში. ამ შემთხვევაში გადანაწილების მასშტაბი შეიძლება

იყოს - თანასწორობა, შეტანილი წვლილი და მოთხოვნილება.
<u>თანასწორობის პრინციპით</u> - თითოეულს უნდა მიეკუთვნოს თანაბარი წილი.
<u>შეტანილი წვლილის პრინციპით</u> - განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სიკეთის შექმნაში ინდივიდის მონაწილეობის ხარისხი.
<u>მოთხოვნილების პრინციპით</u> - თითოეულს ეკუთვნის თავისი მოთხოვნილების შესაბამისად.
განაწილების პრინციპებს შორის არ არის იერარქია.
არისტოტელეს აზრით, განაწილებითი სამართლიანობის შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს <u>გეომეტრიული პროპორციულობა.</u> ანუ სახელმწიფო ცდილობს არსებული სოციალური განსხვავების გათანაბრებას.
განაწილებითი სამართალი ჰეტერონომიული სამართლიანობაა.

<u>გათანაბრებითი სამართლიანობა</u> მოიცავს ურთიერთობებს, რომელთაც არა აქვთ იერარქიული სტრუქტურა. ის არ არის დამოკიდებული პირის ინდივიდუალურ შეხედულებებზე. აქ რთულია განისაზღვროს განაწილების მასშტაბი. სამართლიანი სოციალური წესრიგის ჩამოყალიბების სურვილი ზღვარდადებულია რეალური შეხედულებებით.
გათანაბრებითი სამართლიანობის შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს <u>არითმეტიკული პროპორციულობა.</u>
გათანაბრებითი სამართალი საფუძვლად უდევს - სახელშეკრულებო სამართალს; სასჯელის სამართალი კი - სისხლის სამართალს.
გათანაბრებითი სამართლიანობის უნივერსალური მასშტაბი არ არსებობს.
გათანაბრებითი სამართალი ავტონომიური სამართლიანობაა.

<u>ფორმალური სამართლიანობა</u> ანუ სამართლიანობის ისეთი სახე, რომლის მიხედვითაც, ფორმალურად, სამართლებრივ აქტში მოცემულია სამართლიანობის ზოგადი ფორმულა.
მოითხოვს, რომ ნორმა უნდა იყოს ზოგადი და აბსტრაქტული - ნორმა უნდა არეგულირებდეს განმეორებას ურთიერთობებს და მიმართული უნდა იყოს სუბიექტთა წრისაკენ. ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მის შინაარს. ფორმალური თანასწორობა მიიღწევა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვით.

<u>საგნობრივი სამართლიანობა</u> არის ისეთი სამართლიანობა, როდესაც ხდება გამონაკლისის დაშვება, ინდივიდუალურ შემთხვევებში, რომელიმე საგნის მიხედვით.

ის წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივ უსაფრთხოებასთან. ის ასევე აბალანსებს კანონის აბსტრაქტულ და ჩამოუყალიბებელ დებულებებს. ის გვეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

<u>სოციალური სამართლიანობა</u> ეს არის სამართლიანობა მიუხედავად საზოგადოებას, სოციუმში შენი სტატუსისა. ის ეხება მთლიანად საზოგადოების ინსტიტუციონალურ წესრიგს. სამართლიანობის ცნება სუბიექტურია. ბევრი სამართლიანობა ბუნდოვანს ხდის სოციალური სახელმწიფოს იდეას. არ შეიძლება დეფინიცირება სოციალური სტატუსის მიხედვით.

12. სამართლიანობის თეორიები

განასხვავებენ სამართლიანობის: <u>ანალიტიკურ, ემპირიულ და ნორმატიულ</u> თეორიებს.

<u>ანალიტიკური თეორია</u> აანალიზებს სამართლიანობის ცნების ლოგიკურ სტრუქტურასა და ლინგვისტურ შინაარს.
ის ემპირიული ან ნორმატიული თეორიების ნაწილს წარმოადგენს.

<u>ემპირიული თეორია</u> ისტორიულად, სოციოლოგიურად, ფსიქოლოგიურად აანალიზებს სამართლიანობის შესახებ არსებულ შეხედულებებს საზოგადოებაში.
ემპირიულ თეორიას მიეკუთვნება სამართლიანობის ისტორიულ-მატერიალისტური, სოციალოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები.

<u>ნორმატიული თეორია</u> აღწერს და აფასებს ადამიანთა ფაქტობრივ ღირებულებებით წარმოდგენებს. ის ცდილობს შეიმუშავოს შეფასების ან გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.
ნორმატიულ თეორიაში გამოიყოფა: <u>პროცედურული და მატერიალური</u> თეორიები.

<u>მატერიალური თეორია</u> ცდილობს კონკრეტულად განსაზღვროს, თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო. ის ეძებს იმ მასშტაბს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დასაბუთდეს გადაწყვეტილების სისწორე.

<u>პროცედურული თეორია</u> აყალიბებს სამართლიანი სამართლის დადგენის ან სამართლიანი გადაწყვეტილების მირების წესებსა და პირობებს. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროცედურულ წესებს, ისინი

განაპირობებენ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.
განასხვავებენ პროცედურული თეორიის: სახელშეკრულებო და სასამართლო მოდელს.
სახელშეკრულებო მოდელი მნიშვნელობას ანიჭებს თანასწორობას და გამორიცხავს იძულებას. მისთვის მნიშვნელოვანია მხარეების მოლოდინი. სახელშეკრულებო მოდელისთვის უცხოა მხარეებს შორის იერარქია.

ბუნებით-სამართლებრივი თეორიის მიხედვით, სამართლიანობა არსებობს ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად, ხოლო მისი აღმოჩენა შესაძლებელია შემეცნების პროცესში.

გონითი სამართლის თეორია, მიიჩნევს რომ, მორალური შეფასება არ შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ ფაქტიდან. გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია შესაძლებელია მოხდეს გონების მონაწილეობით.

არგუმენტაციული თეორია, შეიმუშავებს წესებსა და პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ შეთანხმებას, იმის შესახებ რა არის სამართლიანი ან უსამართლო. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ეთიკური საკითხების რაციონალურ შემეცნებაში. არგუმენტაციული თეორიის მიერ შემუშავებული წესების შესრულება მიახლოებითაა შესაძლებელი, რადგან ეს წესები ტოვებენ „ირაციონალურ ნარჩენებს“.

როულზის თეორია.
როულზის თეორია არის, როდესაც სამართლიანმა თანასწორობამ, შეიძლება წარმოშვას უსამართლო თანასწორობა.

ის აყალიბებს ორ მთავარ პრინციპს:
1. კანონის წინაშე თანასწორობა ანუ ყველას თანაბარი სასტარტო პოზიციის შესაძლებლობა. ინდივიდი თავად უნდა განვითარდეს, მას არავინ უნდა შეუშალოს ხელი.

2. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა:
   ა) უნდა ემსახურებოდეს თითოეულის კეთილდღეობას;
   ბ) ის დაკავშირებული უნდა იყოს ყველასთვის ღია სოციალურ სტატუსთან.

როულზი ამ დასკვნამდე მივიდა იმით, რომ მან წარმოიდგინა ჰიპოთეტური მდგომარეობა ანუ როგორ უნდა მივცეთ ადამიანს, ფაქტობრივი თანასწორობის საშუალება, რომ რეალურად თანასწორნი

იყვნენ. როულზი იდეალურ მდგომარეობას ამისთვის წარმოიდგენს - საწყისს მდგომარეობას, ყოველგვარი ცოდნის გარეშე. ადამიანი არის ფაქტობრივად არაფრის მქონე და იგი იწყებს საკუთარ განვითარებას. ამის შედეგად მიღებული უთანასწორობა, არის სამართლიანი.
პრაქტიკაში ამას ვერ გადმოვიღებთ, ამიტომაც ჩვენ მათ ვაძლევთ თანაბარ სასტარტო პოზიციას.

როულზმა ჩამოაყალიბა სამართლიანობის თეორია, სადაც განვითარებულია ბენტამისა და მილის შეხედულებები. როულზი თავის თეორიას უწოდებს - „პროცედურულ ინტერპრეტაციას“.

როულზის კონცეფცია არის - ინდივიდუალისტური. როულზი ამართლებს - თანასწორი შანსების განსხვავებულ რეალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ უთანასწორობას.
როულზის თეორია - ბუნებითი სამართლის რეცეფციაა.
როულზმა თავის თეორიაში დაიცვა სახელმწიფოს სოციალური იდეა და განავითარა ლიბერალური შეხედულებები.

<u>უტილიტარიზმი</u>-ის მიხედვით, სამართლიანობა არის მაქსიმალური კეთილდღეობა, მაქსიმალურად ბევრ ადამიანს. ანუ ბედნიერება, ბევრი სიკეთე უფრო სამართლიანია. თუ ათასი ადამიანი არის ბედნიერი და ორი უბედური, დაე იყვნენ ისინი უბედურები, რადგან უტილიტარიზმის თანახმად მაქსიმალური კეთილდღეობა უფრო მნიშვნელოვანია. მთავარია რაოდენობრივად, უფრო მეტი დარჩეს მოგებული, ბედნიერი.

<u>სამართლის ეკონომიკური ანალიზი</u>
სამართლიანობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გააბედნიერო, პირიქით სამართლებრივი პოლიტიკით. ანუ სამართლით ჩამოაყალიბო ისეთი ეკონომიკური სიტუაცია და მდგომარეობა, რომ რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით, მიიღოს ბევრი შედეგი.